საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5600
23/09/2022

5600-21-2-202209231850

**შპს „ვასაძის ჩაის“**
**მის:** ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნასაკირალი
**ელ. ფოსტა:** Merabi.vasadze@yahoo.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4312 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნასაკირალში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაციას.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაცია შეუსაბამოა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, მიმდინარე წლის 24 მაისს განხორციელებული დათვალიერების შედეგებთან, კერძოდ:

- წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, „წყალაღება გათვალისწინებულია ტერიტორიის სამხრეთ საზღვართან არსებული მდ. სკურდუმიდან“, ხოლო სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით (აქტი №008697), წყალაღება ხდება ტერიტორიის ახლოს ჩამდინარე უსახელო მდინარედან. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ წყალაღება ხორციელდება 100 მმ-იანი შემწოვი მილის საშუალებით, ხოლო №008697 აქტის მიხედვით, მილის დიამეტრი შეადგენს 200 მმ-ს. დაზუსტებას საჭიროებს, როგორც ზედაპირული წყლის ობიექტის დასახელება, საიდანაც ხდება წყალაღება, ისე წყალაღებისთვის გათვალისწინებული მილის დიამეტრი;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ წყალაღება ხდება ექვსი თვის განმავლობაში (მაისი-ოქტომბერი), ხოლო სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (აქტი №008697), მითითებულია, რომ „კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, მორწყვა მიმდინარეობს მაისიდან-სექტემბრის ჩათვლით“, (ხუთი თვის განმავლობაში). აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- ამასთან, „წყალაღება და სარწყავი სისტემის“ თავში მითითებულია, რომ ნაკვეთის საზღვარზე მოწყობილია, მსუბუქი კონსტრუქციის, ლითონის პროფილირებული ფურცლის შენობა, რომლის პირველ სართულზე განთავსებულია წყლის ფილტრი და გამანაწილებელი სამკაპი. სამკაპიდან 63 მმ დიამეტრის მქონე მილებით წყალი მიეწოდება სარწყავი სისტემის მაგისტრალურ მილებს. სკრინინგის განცხადებაში

წარმოდგენილი უნდა იყოს სამკაპიდან მაგისტრალურ მილებამდე, მაგისტრალური მილებიდან ქვემაგისტრალური და საწვეთურიანი მილების სიგრძე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო